# მომავალი

№ 5

შაბათი, 1 სეკტემბერი, 1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან— **ერთი შაური**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ-დღე, დილის 9 ს. სადამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.



2716



თფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1 სექტემბერს, დღის 1 საათზე, ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში, გადახდილ იქნება პანაშვიდი ბანკის ყოფილ თავმჯდომარის

### თავ. ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)



6 ენკენისთვეს ამ წლისა, დღით კვირას ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

### თავ. სიმონ დავითის ძის გუგუნავას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და პატივისმცემელთ ქვრივი განსვენებულისა კნ. ფეოდოსი ნიკოლოზის ასული გუგუნავასი და შვილები თავ. დავით და გრიგოლ სიმონის ძენი გუგუნავები. (2—1)



კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების

### სამეურნეო სკოლაში

**მისაღები ეგზამენები** დაიწყება 27 სექტემბერს და გაგრძელდება 2 ოქტომბრამდე. თხოვნების მიღება 1-ლ ოქტომბრამდე. ცნობებისთვის სკოლის კანცელიარიაში დილის 9 საათ. 11 ს. და საღამოს 5—6 საათამდის. (1—1)



გაიხსნა ახალი

თფილისის

### კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ი. ბ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. დამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ხ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ს. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ა. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—49



მასწავლებელი

### თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა სასწავლებლებისათვის, კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუხგალტერო კურსებისათვის, სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის შეგირდათ.

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა ჯგუფში ჩაწერა უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე იწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის წინდაწინ.

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. 1 სექტემბრიდან ადრესი გამოიცვლება. (18—9)



### აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ მამაცაშვილი

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ლერ-მარკაროვისა № 42.



კბილის ექიმი

### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)



ქ. ქუთაისში

### თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის, აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

## „გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—17)



ივ. გომელაურის შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

წიგნი **უდით** ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფ. 4 კ. (5—5)



## ქართველ ინტელიგენტურ ოჯახში

ვღებულობთ სრულ პანსიონში მოსწავლეებს (სასურველია პროვინციიდან). შეიძლება აგრეთვე მომზადება.

ადრესი: მალაკანის ქ. № 50, ბინა 17.

(10—7)



**ვართან ლისიციანის** მონდობილობით

ყიდის დარჩენილ კარგ

## მიწის ნაჭრებს

საბურთალოზე—საგაბაშვილოს დაჩა, კავკასიის სამხედრო გზის ახლოს. ფული მიიღება მხოლოდ ჩვენთან. ადრესი: კერძო საუქციონო ზალა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. (3—3)



## იყიდება

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხ კუთხი საჟ. 2—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით, 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე.

(5—2)



ქ. ქუთაისში

7 ენკენისთვიდან გამოვა ყოველ-კვირეული პროგრესიული გაზეთი

## ფონი

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჩვენი მწერლები.

გაზეთი წლიურათ ეღირება 3 მან., ხოლო თითო ცალი 5 კაპ.

ხელის მოწერა და წერილები მიიღება წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ“-ში, ალექსანდროვის ქ. ზ. კოკოჩაშვილის სახლში № 5 და მაღაზიის განყოფილებაში — ბულვარის პირდაპირ, გიმნაზიის ქ. 3—2



## იყიდება

საკანდიტერო თავისი მოწყობილობით. სირაჯხანის ქ., № 29.

(3—1) **მიხეილ ნანობაშვილი.**



## ქირავდება

**ერთი ოთახი** ავეჯეულობით და სადილით. იქვე იძლევა **შინაური სადილი.** მიხაილოვის ქუჩა, ბინა 102 (რიჩჩის პირდაპირ). (3—1)



## ივ. კარჩხაძე

გადაჰვიდა, ბელინსკის ქუჩ. № 18.


## ადგილობრივი პრესა

გაზეთი „ივერია“, აქაო და ანგარიშს მიწევენო, კრილოვის ბაყაყივით გაიბერა-გაიფუყა. იქით „დროებას“ ედავება: რატომ ჩვენ წერილზე ხმა არ ამოიღეო, აქეთ კიდევ თავს იტყუებს: „მომავალში“ ჩემმა წერილმა კორიანტელი დააყენაო. ამ მეორეშაბათეს მართლა გონია, რომ ის ბუმბერაზია და წელებზე ფეხს იდგამს, რომ თავი სამშობლოს მხსნელათ მოგვაჩვენოს. იბრძვის ყველას და ყოველივეს წინააღმდეგ, ყვირის თავის სიბრძნეზე, ხმაურობს სწორეთ ისე, როგორც ცალიერი ბოჭკა.

ღმერთი ყველაფრით არ დასჯის ადამიანსო—იტყვიან. და აი, „ივერიასაც“ ერთი კარგი თვისება აქვს. ის არაფერს არ მალავს, თავის გულის ნადებს აშკარათ ამჟღავნებს. ერთ ადგილას გორკი ამბობს: ჩემი გმირი მით არის საინტერესო, რომ არაფრის დამალვა არ შეუძლია. ასეთი გმირია ბ. თუმანიშვილიც. მას სწამს, რომ პროლეტარიატი ვერ დაამყარებს ქვეყნათ ბედნიერებას და ამას ხმა მაღლა აცხადებს:

„ჩვენ არ გვწამს უმიწა-წყლო მუშებისაგან ამ სასწაულის ჩადენა. ე. ი. ქვეყნათ სრული ბედნიერების დამყარება. ეს არის ჩვენი ერთი განსხვავებათაგანი“. („ივ“. № 35).

განსხვავება კიდევ ბევრია, მაგრამ ჯერ გვინდა გავაცნოთ მკითხველს ბ-ნ თუმანიშვილის მიერ აღმოჩენილი ქართველების მტერი და მით სამშობლო განსაცდელისაგან ვიხსნათ. ეს მტერი გახლავთ... რუსი მუშა. არ გჯერათ? აბა ჰკითხეთ ბ-ნ თუმანიშვილს.

„რუსი მუშა—ამბობს ის—ქართველებისათვის, ქართველი ეროვნებისათვის საქართველოს კულტურულ განვითარებისათვის ისეთივე მტერია, როგორც რუსი ბურჟუა“,

მოყვარე ვინღაა? ალბათ, რუსების დანარჩენი ნაწილი, ე. ი. ზუბრები. აი, ვინ არის თურმე ქართველების ეროვნების და კულტურის განვითარების მომხრე და დამცველი. ამის შემდეგ კიდევ იტყვით, რომ ბ. თუმანიშვილი მტერ-მოყვარეს ვერ არჩევსო.

მარა „ივერია“ იქ არ ჩერდება. მცირე ეროვნებზე ზრუნვა მას მოსვენებას არ აძლევს და სხვადასხვა რეცეპტებს უწერს მათ. ერთი რეცეპტი ასეთია:

„სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება მცირე ერების კულტურულ დამონავებას ვერ შეამცირებს“.

სწერს ის. მაშ, როგორი წყობილება შეამცირებს ამ მონობას? კონსტიტუციონური მონარქია გვიპასუხებს ის.

„კონსტიტუციური მონარქია, იმ წესით, რომ სამინისტროს ირჩევდეს სათათბიროს უმეტესობა და ამასთანავე, საყოველთაო საარჩევნო უფლება რომ შემოვიდეს, ადვილი მოსახერხებელი გახდება სათათბიროში არა რუს ეროვნებათა შეკავშირება და გაბატონება, და შეიძლება მთავრობის ხელში ჩაგდება (რათ, რათ? მშ.) და ეროვნული თანასწორობის დამყარება“.

მოდი და ნუ იტყვი ამის დამწერი ბრძენი არააო!

„დემოკრატიულ რესპუბლიკაში—განაგრძობს ის—ხალხის დაჩაგვრა შეიძლება დარჩეს და საკონსტიტუციო (თუ კონსტიტუციონურ? მშ.) მონარქიაში კი სრული ეროვნული თანასწორობა შემოვიდეს“.

ბ. თუმანიშვილმა არ იცის, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამინისტროს პალატის უმეტესობა ირჩევს, რომ რესპუბლიკა საყოველთაო საარჩევნო უფლებასაც აღიარებს. მაშ, რით სჯობია, რით არის ბ. თუმანიშვილო საკონ. მონარქია ასეთი სასწაულთ-მომქმედი? აი თურმე სად არის ხსნა! აი, თურმე სად არის ბედნიერების სათავე! ამიტომ ძირს დემოკ. რესპუბლიკა, გაუმარჯოს კონსტ. მონარქიას—გაიძახის ის ყველა ჯვარედინ გზაზე. მაშ ასე, ზუბრები, (მუშები ხომ წინდაწინ მტრათ გამოაცხადა) ამათგან შედგენილი სამინისტრო. ეს არის ბ. თუმანიშვილის იდეალური სახელმწიფო წეს-წყობილება, ნამდვილი სამოთხე, სადაც დამყარდება ეროვნული თანასწორობა.

ბ. თუმანიშვილი ხატზე ფიცავს ორი თავი არა მაქვს, ორ-მაგ პოლიტიკას არ ვაწარმოებ, ამას მხოლოდ „მომავალი“ მწამებსო. ვინც წაიკითხავს „ივ.“ № 34 და „ნ. ტიფ.“ № 15 მეთაურებს, დაგვეთანხმება, რომ მათი ავტორი მართლა რომ იანუსია. ამას კიდევ უფრო ამტკიცებს „ივერია“—„ნ. ტიფ.“ უკანასკნელი ნომრები. მაშინ, როცა „ივერია“ მთელ რუსობას საქართველოს ეროვნების და კულტურული განვითარების მტრათ აცხადებს, „ნ. ტიფ.“ კი, აღ. კავკასიის დაპყრობის 50 წლის იუბილეის გამო გამართული დღესასწაული გულში იმედს უსახავს და გახარებული ამბობს:

„საქართველო თავის ნებით შეუერთდა, სადაც კავკასიის დანარჩენი ნაწილი იარაღით დაიმორჩილეს—ყველას უნდა გახარებოდა, რომ ადგა მოქალაქობრივი ერა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ცხოვრების მშვიდობიან განვითარებას. და ეს მშვიდობიანი თანამშრომლობა რუსეთის ყველა ხალხების გულს სიხარულით გვივსებს და სხ“...

„ივერია“ კი გვაჯერებს:

„დღეს კიდეც რომ ამოგვიდგენ გვერდში სხვა ერები, ხვალ გადაგვიდგებიან და ჯერ თავს მოუვლიან და მერე ცოდვიშვიდს“.

ასე. „ივერიაში“ ბ. თუ—შვილი რუსებს ქართველების მტრათ აცხადებს, სხვა ერებს დატყუებას და სიყალბეს სწამებს—დღეს ამოგვიდგება გვერდში ხვალ გადაგვიდგება—ხოლო „ნ. ტიფ.“ კი სიხარულით ფეხზე ვეღარ დგება, გული იმედით სავსე აქვს,—რომ დადგა სხვა ერებთან თანამშრომლობის ერაო.

მარა ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს ხომ „გარეშე“ პოლიტიკაა. აქ რუსულათ იწერება. წაიკითხავენ. აქ საჭიროა რევერანსები, უკვეშევრდომილესი გრძნობები... „ივერია“ კი „შინაურ“ პოლიტიკას ეწევა. შინაურებში ყველაფერი ითქმის. და აი, ბ. თუმანიშვილიც „идетъ на право пѣснь заводитъ, налѣво сказки говоритъ“.

## ვისი ბრალია?

თოთხმეტ აგვისტოს ნომერში გაზეთი „დროება“ სწერს: „იმავ „ჩანგის“ ქვედა სართულში სათათბიროს წევრის კ. ჩხეიძის საინტერესო წერილები იბეჭდება. სხვათა შორის, ბ. ჩხეიძე სჩივის, რომ ადგილობრივი საზოგადოება და დაწესებულებანი, ადგილობრივი მოღვაწენი არასოდეს არავითარ ცნობებს და მასალებს არ აწვდიან. ჩივილი სამართლიანია, მაგრამ აი სწორეთ აქ ითქმის audiatur et altera pars. როგორ უნდა მიეწოდოს ცნობები და მასალები, როცა არ იცი, როგორ იქნება მიღებული შენი ცნობები? წარმოიდგინეთ, რომ ვისმეს სურს მიაწოდოს დეპუტატ ჩხეიძეს მასალა და ცნობები იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენში საერობო ცენზის ერთი ათათ შემცირებაა საჭირო. თუ ისიც იმავ აზრისაა ერობაზე, საერობო პროგრამაზე, როგორის აზრის ზედა სართულის პუბლიცისტია, ხომ ცხვირ-პირში მოგვაყრის ჩვენ ცნობებს და მასალას“ („დროება“ № 180).

დავანებოთ თავი „ზედა და ქვედა სართულებს“, რადგან ეს საქმეს არ შეეხება.

როგორც ხედავთ, „დროება“ ერთიის მხრით თანახმაა ჩვენი; გაზეთის აზრით ჩვენი ჩივილი სამართლიანია; „დროებაც“ საჭიროთ სთვლის, რომ დეპუტატს უნდა აწვდიდენ ცნობებს და მასალებს ადგილობრივი კითხვების შესახებ; ასეთი შეხედულება წინეთაც გვსმენია „დროების“ თანაგრძნობათაგან.

მიუხედავათ ასეთი შეხედულებისა, არც

„დროებას“ და არც მის თანამოაზროვნეთ ჩვენთვის არავითარი მასალა და ცნობები არ მოუწვდენია. ეს ჩვენც ვიცით და თვით „დროებამაც“. რა არის ამის მიზეზი? გაზეთი გადაჭრილ პასუხს გვაძლევს: მიზეზი ჩვენ ვართ და ბრალიც ჩვენ გვედება. და მართლაც, აბა ვინ გაყოფს თავს ასეთი უმადურების უღელში: კაცი შრომობს, წელზე ფეხს იდგამს, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ ცნობებს კრებს, გაწვდის, უნდა დახმარება გაუწიოს საზოგადო საქმე თქვენ კი ამ ნაშრომს და ნაწელ გულებს ცხვირ-პირში აყრი მას!

დამეთანხმეთ, რომ ასეთი მოქმედება, ვინც უნდა ჩადიოდეს მას მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. მართალია „დროებას“ ამის დასამტკიცებელი ფაქტი არ მოყავს, ის განსაზღვრულ მაგალითზე არ გვითითებს, მაგრამ საქმისთვის ეს სულ ერთი არაა: აგერ ორი წელი სრულდება, რაც სათათბიროში ვარ, მაგრამ პატივცემულ გაზეთს თურმე დღემდის ვერ გადაუჭრია კითხვა, თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენ მის მიერ მოწვდენილ მასალას და ცნობებს. აი ასეთი გამოურკვევლობა თურმე უბოჭავს ხელ-ფეხს „დროების“ რედაქციას და მის თანამოაზროვნეებს.

რამდენათ გულწრფელია ასეთი მოქცევა, რამდენათ შეეფერება სინამდვილეს ასეთნაირათ ახსნა და განმარტება საქმის, რამდენათ ეხმარება „დროება“ მკითხველ საზოგადოებას საკითხის მიუდგომლათ გარკვევაში?

თუ პასუხი გნებავთ, ნება მიბოძეთ კიდევ მოგაგონოთ ცოტა რამ წარსულიდან.

მესამე დუმის პირველ სესიაში, თუ გახსოვთ, კამათი იყო გამოკვების საკითხის (продовольств. вопросъ) შესახებ. სხვათა შორის კავკასიის ნამესტნიკიც თხოულობდა ადგილობრივი საჭიროებისთვის ფულს. დუმის კომისიაში მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება შემოიტანა ნამესტნიკის მიერ წარმოდგენილი „სმეტის“ შემცირებისა. მისი აზრით ამ სმეტას ცხრაასი ათასი მანეთი მაინც უნდა მოკლებოდა, რადგან ვითომდა კავკასიას მეტი არ ესაჭიროებოდა, კი მაგრამ, რა საბუთი, ან რა ცნობები გაქვთ ხელში კავკასიის შესახებ, რომ ასე ამცირებთ მის ხვედრს, შევეკითხეთ მთავრობის წარმომადგენელს და მის თანამგრძნობ კომისიის წევრებს. ძლიერ კარგათ მახსოვს მათი პასუხი: არავითარი ცნობებიც არ გვაქვს გარდა ამ მოხსენებისა და მიგვითითეს ნამესტნიკის მოხსენებაზე. ამ მოხსენებაში კი სწორეთ იმდენს ამოიკითხავდით კავკასიის მკვიდრთა გაჭირვებაზე და შიმშილზე, რამდენსაც თქვენ, მკითხველო, თქვენ ხელის გულზე.

გადაიტანეს საკითხი სათათბიროს საერთო სხდომაზე. ჩვენ აქ ის აზრი გამოვთქვით, რომ არამც და არამც „სმეტას“ არა მოკლებოდა რა და მომავლისთვის მთავრობას წარმოედგინა დაწვრილებითი ცნობები, თუ რა ყოფაში არიან კავკასიის მკვიდრნი საკვების მხრით. დუმამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ეს ამბავი მოხდა არა ფარულათ არამედ საქვეყნოთ, აშკარათ. ჩვენი აზრი და შეხედულება აღნიშნული კითხვის შესახებ გამოვთქვით არა ჩვენ ოთხში ან ამხანაგთა ვიწრო წრეში, არამედ დუმის ტრიბუნიდან, ამ სხდომის ოქმი დუმის სტენოგრაფიულ ანგარიშებში დღესაც მოიძებნება, თუ ხალისი და სურვილია.

მაშ, ეს ყოველივე ცხადი უნდა იყოს პატივცემულ გაზ. „დროებისთვის“. დაგვეთანხმება „დროება“, რომ ჩვენი ზემომოყვანილი წინადადება არ უდრის არც დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნას, არც აჯანყებას, არც პროლეტარიატის ჰეგემონიას. ერთი სიტყვით, თუ სადმე სამართალია, დასახელებულ მოთხოვნაში „დროებამ“ უტოპია, დოქტრიონერობა, პროგრამა მინიმუმის სავსებით და დაუყოვნებლივ განხორციელების სურვილი, პარტიული დროშის აფრიალების განზრახვა და სხვა ამგვარი საშინელებანი ვერ უნდა აღმოაჩინოს. ყოველი რეალური პოლიტიკოსისათვის, ვგონებთ, მისაღებ მოთხოვნათ უნდა ჩაითვალოს იმის თქმა, რომ ამა თუ იმ კითხვის შესახებ ცნობები შეკრიბოს და ისეთ კუთხეს, როგორიც არის კავკასია თავისი ცხრა მილიონზე მეტი მცხოვრებით, სრულიად უსაფუძვლოთ არ მოაკლდეს უმისოდაც მცირე დამხმარე სახელმწიფო ხაზინიდან.

დიახ, ეს ასე გახლავს. ვგონებთ, ვერ უარყოფს გაზეთი „დროებაც“; ვამოწმებთ, რომ მიუხედავათ ამისა, არც „დროების“ და მის თანამოაზროვნეებისაგან ჩვენ მიღებული არ გვქონდა არავითარი ცნობები იმ დროისთვის, როცა აღნიშნული კითხვა ირკვეოდა სახელმწიფო სათათბიროში!

აქ შეიძლება „დროებამ“ გვიპასუხოს: ეშმაკმა იცოდეს თქვენი ასავალ-დასავალი: აბა, რას ვიფიქრებდით თუ თქვენ კავკასიის დამშეული ხალხის სასარგებლოთ კრინტს დაძრავდით! პირიქით, ჩვენ დაიმედებული ვიყავით, რომ თქვენ წამოიჭრებოდით დუმის ტრიბუნაზე და ასეთის სიტყვებით მიმართავდით რუსეთის პარლამენტს: ბატონებო, აქ ლაპარაკია კავკასიის დამშეული გლეხების დახმარებაზე. პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ დამშეული გლეხების დახმარება სავსებით ეწინააღმდეგება ჩვენი პროგრამა მინიმუმს და მაქსიმუმს, ჩვენი პროგრამა მოითხოვს რაც შეიძლება, ჩქარა გაბოგანოვდეს გლეხკაცობა და მათხოვრობას მიყოს ხელი. ნამეტურ საჭიროა ქართველი გლეხ-კაცობის გაღატაკების და გაპროლეტარების დაჩქარება. ამიტომაც ჩვენ ვურჩევთ სათათბიროს სავსებით უარყოს ნამესტნიკის წინადადება.

დიახ, შეიძლება „დროებას“. თუ მის წინამორბედს ეგონა და იმედიც ქონდა, რომ სწორეთ ასეთი სიტყვით მივმართავდით დუმას როგორც ხედავთ ეს უსაფუძვლო მოლოდინი არ გამართლდა.

წელს რუსეთის შიდა გუბერნიებში კი მოსავალს ამბობენ. ეს კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენში როგორღაა საქმე? რამდენათაც მე ვიცი აქ ბევრგან ხალხს ნამდვილი შიმშილობა მოელის. გარდა ამისა, როგორც იცით, მთავრობას უკვე მზათ აქვს ახალი კანონ-პროექტი *) მოუსავლობის დროს ხალხის დახმარების შესახებ. ადვილი შესაძლოა ეს კანონ-პროექტი ახლო მომავალში წარმოედგინოს სახელმწიფო სათათბიროს. ისეთი პირობები გვაიძულებენ მზათ ვიყოთ ახლავე და ხელთ გვქონდეს საჭირო ცნობები როგორც დღევანდელი ასე უახლოესი წარსულის მაინც.

ახლა გავბედავ და ვიკითხავ: აქვს „დროებას“ საჭირო ცნობები ისეთი მწვავე კითხვის შესახებ, როგორიც არის მოუსავლობა? მოგვაწვდის ის შემთხვევის დროს ისეთ ცნობებს, რომ ჩვენ შევძლოთ დუმის წინაშე გადავშალოთ სურათი იმ მდგომარეობის, რომელსაც ხალხის დამშევა ქვია? აქ, ამ საკითხში მაინც აღარ უნდა ეშინოდეს მას, რომ ადგილობრივ კითხვას უტოპიის ქანდარაზე გადმოკიდებთ და წრუპუნს დავუწყებთ. თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ: „დროება“ ამას მოგვცემს. ვის სდევს აქ ბრალი?

კავკასიის კოლონიზაციის კითხვას ორჯერ შეეხო მესამე სახელმწიფო დუმა.

ჩვენ პირველჯერვე აღვნიშნავთ თუ რა დამღუპველია ეს საკოლონიზაციო პოლიტიკა, რომელსაც კარგა ხანია აწარმოებს კავკასიაში მთავრობა და მასთან ერთათ რუსეთის თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია. ძლიერ კარგათ გვახსოვს, რომ „დროების“ თანამშრომლები არც აქ აჩქარებულან და არც ჩვენთვის და არც სხვისთვის არავითარი მასალა არ მიუწვდენიათ.

მიზეზი, ალბათ, იგივე იყო, არა? ისინი თავს აჯერებენ იმ დროს, რომ ჩვენ მოვითხოვდით დუმის ტრიბუნიდან ქართველები, სომხები, თათრები, ლეკები და სხვები დაუყონებლივ გაერეკათ კავკასიიდან და მათ მაგიერ ჩუვაშები და კამჩადილები დაესახლებიათ. არ ვიცი, მოახერხეს თუ არა „დროების“ თანამშრომლებმა თავის თავის დაჯერება, რომ ჩვენ სწორეთ ასე მოვიქცეოდით, მხოლოდ ვიცით, რომ ჩვენ მათგან არავითარი ცნობები არ მიგვიღია და მაშასადამე, არც ცხვირ-პირში მიგვიხლია.

ასე იყო თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, მათ გაკვეთილი, მაგალითი ხელში ქონდათ, აქაც, ამ საკითხში ჩვენ ფარულათ არ გვიმოქმედია.

ა. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება).

*) ამ კანონ-პროექტის თანახმათ გამოკვების საქმე ისევ ერობას უნდა დაუბრუნდეს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** გუშინ არდებილიდან დაბრუნდა ყაზახთა კონვოის უფროსი, თან მოიყვანა რუსეთის მანუფაქტურით დატვირთული 480 აქლემი. გზაზე ინციდენტი არ მომხდარა. არდებილის გზა გახსნილია. თავრიზის ბაზარს სიცოცხლე დაეტყო.

**თეირანი.** ყოფილმა შახმა ღამე მირაბადში გაატარა და შემდეგ ენზელისკენ წავიდა. ენზელამდე თორმეტი დღე მოუნდება. ფიდაები ხელს უშლიან ცნობის მოყვარე სპარსელებს დაინახონ შახი თავის ამალით.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდან: გუბერნატორმა სათარ-ხანის მეთაურობით ადერბილში 500 ცხენოსანი გაგზავნა გზების განსათავისუფლებლათ ყაჩაღებიდან. შახსევანების მეტი ნაწილი სათარ-ხანს დახმარებას უწევდა. ყარადაღის ხანს თავს ესხმიან.

### რუსეთი.

**პოპოვო.** 27 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა სადგურ მალცებაზე გადმოვიდენ ვაგონიდან. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ებაასა თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს და გუბერნატორს. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ურუსოვმა ხატი მიართვა. ერობის წარმომადგენლებმა პურ-მარილი.

**სიმფეროპოლი.** ხელმწიფე იმპერატორი სევასტოპოლში მოვიდა. მოსვლისას ჩვეულებრივათ ზარბაზნები დასცალეს, მიეგებენ უმაღლესი პირნი.

**ჩერნიგოვი.** საგუბერნიო სატუსაღოში დილით გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღები თავს დაესხენ სატუსაღოს ორ ზედამხედველს, დაახრჩვეს ერთი მათგანი, წაართვეს იარაღი და გასაღებები, წაუკიდეს ცეცხლი მატრასებს და დაიწყეს კარების გაღება და ტუსაღების განთავისუფლება. ამ დროს გაჩნდენ სტრაჟნიკები და თოფები დაუშინეს, მოკლეს 2 ტუსაღი, დასჭრეს ორი მძიმეთ და რვა მსუბუქათ. წესიერება აღდგენილ იქნა.

**პეტერბურგი.** ომსკში და ატამანში სამხედრო წესების ნაცვლათ გამოცხადდა საგანგებო დაცვის წესები. ომსკის და პეტრეპავლოვსკის მაზრებში, რკინის გზის ლიანდაგის გარდა სამხედრო წესების ნაცვლათ გაძლიერებული დაცვის წესები გამოცხადდა.

დაიჭირეს „რუსკოე ზნამია“-ს 191 №. რედაქტორი პოლუბოიარინოვი პასუხის გებაში მისცეს.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობის კასირს, რომელსაც რუბლევსკის წყლის საყვანის მუშებისთვის დასარიგებლათ 3,600 მანეთი მიქონდა სადგურ კუნცევოს ახლოს თავს დაესხენ მძარცველები. მოკლეს სტრაჟნიკი, კასირი და მეეტლე გადარჩა. ფულის წაღება ვერ მოასწრეს.

**ვლადივასტოკი.** პატარა მარაგიდან ბოროტ-გამზრახველებმა 27 აგვისტოს სატუსაღოს დარაჯს სროლა აუტეხეს, დასჭრეს და გაიქცენ.

**სამარა.** ტროიცკიდან კუსტანიაში მიმავალ ფოსტას თავს დაესხენ ბოროტ-გამზრახველები. ფოსტა უვნებლათ გადარჩა. როგორც ფიქრობენ, სროლის დროს ერთი თავდამსხმელთაგანი დაიჭრა.

**ეკატერინოსლავი.** გაძარცვეს მიხაილოვსკის ფოსტის განყოფილება, წაიღეს 2568 მანეთი. მძარცველები მიიმალენ.

**მოგილევი.** ლიუბავიჩის ვოლოსტში ბოქაული სტრაჟნიკებით ჩაუსაფრდა სამ ყაჩაღს. სროლის დროს მოკლეს ორი ყაჩაღი, მესამე დასჭრეს და დაიჭირეს.

**კრემენჩუგი.** ჩერკასკის ახლო ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა გემი „სვიატისლავი“, რომელზედაც 6000 ფუთი პური იყო. ზარალი 200,000 მანეთამდეა.

**პენზა.** სოფელ ბორუკში, გოროდიშენსკის მაზრაში, ცეცხლმა გაანადგურა 78 სახლ-კარი. ცეცხლში დაიწვა სამი წლის გოგო და 83 წლის მოხუცი, დაიწვა მეორე მხუცი, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა.

**მოსკოვი.** ღამით სადგურ ოპალიხაზე ოთხმა ბოროტ-მოქმედმა მოკლა კასირი, სადგურის უფროსი ზერნოვი, მძიმეთ დასჭრეს სტოროჟი და ზერნოვის ცოლი. გაიტაცეს 25 მანეთი და გაიქცნენ.

**მოსკოვი.** რამენსკის მანუფაქტურაში მუშაობა შესწყდა, დაითხოვეს 7000 მუშა, რადგან მათ უარი სთქვეს ახალ სამუშაო ქირაზე.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ეგრეთ წოდებულ შჩიგროვსკის რესპუბლიკის საქმის საკასაციო საჩივარი. ამ საქმეზე კურსკის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ცხრა კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მათ შორის სახელმწიფო დუმის ყოფილ წევრს პიანიხს, 25 კაცს კატორღა, მათ შორის დუმის ყოფილ წევრთ მერკულოვს და მღვდელ მილოტკოვს, ოცდათოთხმეტს გადასახლება. საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დასტოვეს.

**სევასტოპოლი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავრები საძმო სასაფლაოზე პანაშვიდს დაესწრენ. შემდეგ ინახულეს ჯარი და დაბრუნდენ „შტანდარტზე“.

**ზენკოვი.** სოფელ ლიუტენკის ბუდეშჩში დაიწვა 12 მოსახლე.

**ნიკოლაევსკი.** გადასახლებულთა ექსპედიციას ამურის ახლო თავს დაესხენ მძარცველები. დასჭრეს მიწის მზომელი კუზნეცოვი და ორი მოსამსახურე.

**იუზოვკა.** გახსნეს რვა კლასიანი კომერციული სასწავლებელი.

**გროდნო.** გარდაიცვალა სახელმწიფო დუმის წევრი სოლოვეი.

**კურსკი.** სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლებათ თავად-აზნაურთა კრებამ აირჩია დუმის წევრი მარკოვი მეორე და ფოტეჟის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბოგდანოვი.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დვინსკში ხოლერით ავათ გახდა ერთი კვირის განმავლობაში 14, მოკვდა 3. დრისსაში ავათ გახდა 2, მოკვდა 1. კიევში ავათ გახდა 1, მოკვდა 1. ავათ არის 2. კიევის გუბერნიაში ავათ გახდა 1. კოსტრომაში ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 3, მაზრაში—2, ნერეხსტკის მაზრაში—8, იურიევესაში—1. კინეშმკის—5, მოკვდა 3. მოგილევსკის—33, მოკვდა 9. პერმში— 3, მაზრაში მოკვდა 1.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 20, მოკვდა 15, ავათ არის 293.

**კრემენჩუგი.** ქალაქში ხოლერით ავათ გახდა 7, მაზრაში 2.

### საზღვარ-გარეთ.

**ნიუ-იორკი.** სანტ-იაგოში ბელგიის ინჟენერმა მაქს-ფონ-ნისსელბურგმა, რომელიც ექიმ კუკს თან ახლდა 1897—1899 წლებში ჩრდილოეთ პოლიუსისკენ, განაცხადა, რომ კარგათ იცნობს კუკს და სავსებით ენდობა მის განცხადებას.

**კოპენჰაგენი.** დღის ოთხ საათზე კუკი გავიდა კოპენჰაგენიდან. ის წარჩინებულმა პირებმა გააცილეს. ხალხმა ოვაცია გაუმართა.

**ვენა.** ზაგრების პროცესი. ხალხით გაჭედილ სასამართლოს დარბაზში ბრალმდებელი საბრალმდებლო ოქმის კითხვას შეუდგა. დამცველების მიერ წამოყენებულ საბუთს, თითქო ღალატის შესახებ მუხლი ეხება ავსტრიის იმპერიას, რომელიც 1888 წლამდე არსებობდა და არ ხორვატიას, ბრალმდებელმა უსაფუძვლოთ სცნო. შემდეგ ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ დამნაშავენი გამოტყდენ სერბიის საერთო დროშის, გერბის, ეკონომიურ და ფინანსიურ ორგანიზაციების მოწყობის პროპაგანდის გაწევაში, მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ ხალხი სიხარულით ელოდა სერბიის გამარჯვებას და სერბიის მეფის შეერთებას კარაგეორგიევიჩების მთავრობის ქვეშ. ნასტიჩის ჩვენება, რომ ბულგარეთის საზოგადოებას, რომელმაც რევოლიუციონური მოძრაობა წარმოშვა, ხორვატიაში განყოფილება ქონდა, საბუთებით მტკიცდება. მართლმდიდებელ სასულიერო სალდათებს აგიტაციას უწევდენ არ ესროლათ სერბიელ სალდათებისთვის.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კაპიტან მურრეიმ შეკითხვით მიმართა მთავრობას რა ზომები მიიღო ჩინეთის მთავრობამ 1902 წლის ხელშეკრულობის მე-8 მუხლის შესასრულებლათ ლიკინის სისტემის გასაუქმებლათ. მაკკინნოვუდმა უპასუხა, რომ ერთათ ერთი ზომა ამ კითხვის შესახებ მიიღო ჩინეთმა ის, რომ მოინდომა მოლაპარაკება გამართოს სახელმწიფოებთან შემოტანილ საქონელზე ბაჟის მომატების შესახებ. ამაზე ბრიტანეთის მთავრობა არ დასთანხმდება. შემდეგ ამისა პალატამ მიიღო საფინანსო ბილლის მუხლი კონცესიის გაცემაზე ბაჟის მომატების შესახებ.

**იოკაგამა.** „ჯაპანტაიმს“ იუწყება, რომ ჩინეთთან შეთანხმება ახალი ხანის და მეგობრობის დასაწყისი არისო. ჩინეთსა და იაპონიას შორის 14 წელიწადია მეგობრული განწყობილება სუფევდა. უკანასკნელი ხნის შეთანხმებამ შეაწუხა უფრო მეტათ ხალხი, ვიდრე მთავრობა. მაგრამ ამან შეტაკება არ გამოიწვია, ნდობისა და შეთანხმების ახალი ხანა უზრუნველ ყოფს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობას და მთელ ქვეყანას დაანახვებს, რომ ყოველივე ინტრიგა იაპონიის და ჩინეთის ასამხედრებლათ უსაფუძვლოა და მიზანს ვერ მიაღწევს.

**საიგონი.** საფრანგეთის რაზმმა სოფელში იერიში მიიტანა ზღვის ავაზაკებზე. შეტაკების დროს მოკლეს ოთხი სალდათი, ცხრა დასჭრეს და ოთხი მზის დაცემისაგან მოკვდა. ყაჩაღებს მოუკლეს ათი კაცი.

**ფრანკფურტი.** „ცეპპელინი მესამე“ საღამოს 9 საათსა და 48 წუთზე მშვიდობიანათ დაეშვა ძირს.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**დემონსტრაცია.** ყოფილი შახის ორმოცი მოვალე შეეცადა დემონსტრაცია მოეხდინა რუსეთის საელჩოს წინ. აჩირებული დემონსტრანტები კაზაკებმა გარეკეს.

**მთავრობის და დიპლომატების თათბირი** ექს-შახის გაგზავნის შესახებ მომხდარ უკანასკნელ სხდომაზე, სადაც მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრენ რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლები—ცოტა არ იყოს, უკმაყოფილება მოხდა. რუსეთის მისიის წარმომადგენელი ბარანოვსკი უკმაყოფილო დარჩა სპარ. მთავრობის გაბედული კილოთი და მოითხოვა, რომ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მეტის ნდობით და პატივით მოეპყრონ. ამაზე სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელმა შემდეგი უპასუხა: თქვენ მუდამ ერევით ჩვენ შინაურ საქმეებში, სწორეთ ამის შედეგია ჩვენ შორის დამოკიდებულების გამწვავება. ის და გაკლიათ, რომ ჩვენი გუბერნატორებიც და მინისტრებიც თქვენ დანიშნოთ. თქვენ არამც თუ გაიყვანეთ თქვენი ჯარი, პირიქით, საზამთრო ყაზარმების შენობასაც შეუდექით.

ბარანოვსკის გულ მოსულათ უპასუხნია: გაგზავნეთ თქვენი ჯარი ადერბეიჯანში, გამოიწვიეთ იქიდან სათარ-ხან-ბაგირ-ხანი, რომლებიც მუდამ არღვევენ წესიერებას და სანამ ისინი არიან იქ შეუძლებელია წესიერების დამყარებას...

**ძირითადი კანონები.** იუსტიციის მინისტრმა შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ახალი ძირითადი კანონები. შემუშავებული კანონები მეჯლისს წარედგინება დასამტკიცებლათ.

### ოსმალეთი.

**ექს-სულთანის თხოვნა.** ექს-სულთანმა სთხოვა ოსმალეთის მთავრობას, გადაიყვანოს, ის სადმე სხვა ადგილას, რადგან აქაური ჰაერი ჩემზე ცუდათ მოქმედებსო. მთავრობამ ჰამიდის თხოვნაზე უარი განაცხადა. ამ დღეებში ექს-სულთანთან გერმანელი სპეციალისტი ექიმი მიდის, რომ შეამოწმოს: მართლა არის ჰამიდი ავათ თუ არა.

**რეაქციონური მოძრაობა.** მღელვარება ალბანიაში უფრო და უფრო ძლიერდება. ალბანიის გავლენიანი პარტია, „რ. ს.“ სიტყვით, გაცხარებულ აგიტაციას ეწევა და წინადადებას იძლევა დაესხან ახალ-გაზდა ოსმალთა აფიცრებს, მოახდინონ „პერევოროტი“ და აღადგინონ ძველი რეჟიმი. ხდება ხშირი მანიფესტაციები, რომლებიც მუდამ არეულობით თავდება. ოსმალეთის მთავრობა დიდ თავდარიგშია. ამ დღეებში ალბანელებს და ჯარს შორის აქ-იქ-შეტაკებაც მომხდარა.

### რუსეთი

**დუბროვინი და ფინ. სასამართლო.** პეტერბურგელი „ჭეშმარიტი რუსები“ ირწმუნებიან, რომ დუბროვინმა, მოსალოდნელი უსიამოვნობის თავიდან ასაცილებლათ, განაცხადა, რომ ის თითონ გამოცხადდება სასამართლოში.

**ისევ ბურცევი.** ბერლინის ერთი გაზეთის წარმომადგენლისათვის ბურცევს უთქვამს: ექვსი კვირის შემდეგ ისეთ პროვოკატორს გამოვამჟღავნებ, რომ

მისი მოქმედება ყოველივე იმას გადააჭარბებს, რაც დღემდის იცის ევროპამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენს მთელ ევროპაზეო.

**არტისტი-მუშები**. მოსკოვში შედგა დრამატიული ხელოვნების მოყვარული მუშათა ჯგუფი. ჯგუფს განზრახვა აქვს მოაწყოს მუშათა უბნებში იაფ-ფასიანი წარმოდგენები. ჯგუფს კიდევაც გაუმართავს პირველი წარმოდგენა და მშვენივრათაც ჩაუტარებიათ.

**ფეხ-შიშველა დეპუტატი**. „ფინ. გაზ." შემდეგ უცნაურ ამბავს გადმოგვცემს: ფინლიანდიის სეიმში არის ერთი დეპუტატი, აგრარული პარტიის წევრი, რომელიც სეიმის სხდომებზე ფეხ-შიშველი დადის. ეს ორიგინალური დეპუტატი გვარათ—პიუკიალია. გაზეთების სიტყვით პიუკიალს, ამ ზაფხულზე რამდენიმე წყვილი ფეხ-საცმელი მიუღია სხვადასხვა ქალაქებიდან. ამ დღეებში სეიმის კანცელიარის მისდა გადასაცემათ ამანათი მიუღია. ამანათში ჩულქები ყოფილა შემდეგი წარწერით: „ზამთარში ჩაიცვით". „ფეხ-შიშველების შემცოდესაგან." რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ 12 მარკა და 25 პენი მიუღია ფულათ 12 მარკა ფეხსაცმელისთვის, ხოლო 25 პენი—ჩულქებისათვის.

**ქურდი მეეზოვეები**. „რეჩი" გადმოგვცემს, რომ მაძებარი პოლიციის ცნობები ამტკიცებენ, რომ მოსკოვში მომხდარ ქურდობაში დიდ მონაწილეობას თურმე ღებულობდენ მეეზოვენი. ქურდების საერთო რიცხვიდან—90 პროც. მეეზოვენი აღმოჩენილან.

**ახალი მოდის კონფისკაცია**. „ბირჟ. ვედ." კიევიდან შემდეგ, მეტათ დამახასიათებელ ამბავს ატყობინებენ: „24 აგვ. „კიევჲ. უტროს" რედაქციაში უმაგალითო სკანდალი მოხდა: თანამშრომელმა ლამზიკოვმა რედაქტორის დაუკითხავათ გაუშვა გაზეთში ორი წერილი, რომლის გამო მოსალოდნელი იყო გაზეთის დახურვა. რედაქტორმაც სხვა რომ ვერაფერი გააწყო, მიირბინა საპოლიციო ნაწილში და ითხოვა, რომ კონფისკაცია ეყოთ მისი გაზეთისთვის. პოლიცია გამოცხადდა და დაიჭირა გაზეთის ნომერი. სტამბის პატრონს კი სამართალში აძლევენ, რედაქტორის მიერ ნება დაურთველ წერილების დაბეჭდვისათვის."

**არჩევნები პეტერბურგში**. პეტერბურგში უკვე დაიწყო საარჩევნო ომი. თუმცა ეს ომი ჯერ კიდევ გაზეთების ფურცლებს არ გასცილებია. კადეტებზე უფრო მარცხნით მდგომნი ყველა სოც.-დემოკრატების კანდიდატ სოკოლოვის სასარგებლოთ ეწევა აგიტაციას. გაზეთ „ნ. დენს" უნახავს სხვადასხვა მემარცხენე პარტიების გამოჩენილი წევრნი და უკითხავს თუ არ აზრის არიან არჩევნებზე. ვოდოვოზოვი: მემარცხენე პარტიები ყოველ გვარ პოლემიკაზე თავს შევიკავებთ და მთელ თავის ძალას კადეტების წინააღმდეგ მივმართავთ. მიაკოტინი—სახალხო სოციალისტები არას დროს არ დაუჭერენ მხარს კადეტებს. ამაზე ლაპარაკიც მეტია. კადეტებმა სრულიად გასწყვიტეს კავშირი ოპოზიციასთან. ანენსკი:—რომ დავუშვათ ერთი წუთით მაინც, რომ პეტერბურგიდან, რომელიც დღემდის ოპოზიციონურათ ითვლება, ოქტომბრისტი წავა დუმაში, ჩვენ მაინც ხელს არ ავიღებთ კადეტების წინააღმდეგ გალაშქრებაზე. ჩხეიძე.—უნდა ვეცადოთ, რომ საარჩევნო კომპანია, რაც შეიძლება უფრო ენერგიულათ ვაწარმოვოთ. დავაფასოთ და ავწონ-დავწონოთ გასული სესიები და ნათლათ დავანახოთ ამრჩევლებს კადეტების ნამდვილი ფიზიონომია. უპარტიოთა კანდიდატს მ. კოვალევსკის განუცხადებია, რომ ის მხოლოთ მაშინ დათანხმდება, თუ მას მხარს დაუჭერენ კადეტები. ხმები დადის, რომ მალე გამოცხადდება ინსტრუქცია, რომლის ძალით ასარჩევ კანდიდატს ნება ექნება ილაპარაკოს, მხოლოთ თავის საარჩევნო ოლქში.

**ვოსტორგოვი დუელში**. ცნობილი „სოიუზნიკი" ვოსტორგოვი, მოსკოვის ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარე ოზნობიშინს დუელში გამოუწვევია, პარტიულ ნიადაგზე მომხდარ უთანხმოების გამო. ვოსტორგოვს დუელში გასვლაზე უარი უთქვამს.

### საზღვარ-გარეთ

**ტრედ-უნიონების კონგრესი**. ამ დღებში ქალაქ იპსვიჩში (ინგლისში) მოხდა ტრედ-უნიონების კონგრესი. კონგრესს დაესწრო 7,800,000 შეკავშირებულ მუშების წარმომადგენელნი, რიცხვით 502. კონგრესზე სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა დეპუტატმა კაირ-ჰარდიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტრედ-უნიონებს მხოლოდ სოციალიზმთან თანამშრომლობით შეუძლიათ ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფლონ მუშათა კლასი ყვლეფა-ჩაგვრის და მონობისაგანო.

**გაფიცვის გაგრძელება**. „რ. ს." ატყობინებენ შვეციიდან ტრამვაის მოსამსახურეებმა და ქალაქის მუშებმა, მოსარიგებლათ წარდგენილი პირობები დამამცირებლათ იცნეს და გადაწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება. საერთოთ, შენიშნავს კორესპონდენტი—მუშათა მასსაში დიდი უკმაყოფილება გაისმის გაფიცვის კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებენ, თითქო ის ზედმეტ დათმობის გზას დადგომოდეს.

**პრუსიის მთავრობა და რუსეთის ჯაშუშები**. ამას წინათ ვწერდით, რომ ბერლინის საზოგადოების პროგრესიული ნაწილი დაბეჯითებით მოითხოვს პროვოკატორ ქალ—ჟუჩენკოს ბერლინიდან გაძევებას-თქო. ახლა გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა უარს ამბობს მის გაძევებაზე. საბუთათ ის მოყავს, რომ ჟუჩენკო აქ ცხოვრობს, როგორც კერძო პირი და ჩვენ სრულიად არ გვეხება ის, თუ რას აკეთებდა ის რუსეთშიო.

**ჟუჩენკოს წერილი**. გაზეთების სიტყვით ჟუჩენკოს გაცხარებული მიწერ-მოწერა აქვს ბურცევთან, რითაც ის უარყოფს იმ როლს, რომელსაც მას აწერენ მოსკოვის აჯანყებაში. ის არ მალავს, რომ რევოლიუციონერთა შორის აგიტაციას ეწეოდა აჯანყების დასაწყებათ და ბევრი რამ მინდობილებაც შეუსრულებია სამხედრო ორგანიზაციის. ის თავის თავს შეგნებულ მონარქისტკას უწოდებს და ზიზღით იხსენიებს და მხდალ და მშიშარას უწოდებს აზეფს.

**სუფრაჟისტკების თავდასხმა მინისტრზე**. სუფრაჟისტკებმა მეორეხელ მოახდინეს პრემიერ მინისტრ ასკვიტზე თავდასხმა. გაიგეს თუ არა, რომ პრემიერი შინაგან მინისტრთან ერთათ ქალაქ გარეთ მიდისო, ჩაუსაფრდენ. ერთმა მათგანმა, უფრო გამბედავმა ქალმა, სტაცა ხელი ასკვიტს, მეორე საყელოში სწვდა და დაუწყეს ცემა. მას წაეშველა შინაგან საქმეთა მინისტრი გლადსტონი და მუშტები დაუშინა ქალებს. ქალები გაიქცენ, მაგრამ ჩქარა დაბრუნდენ და ფანჯრის მინები ჩაუმტვრიეს სასახლეს, სადაც მინისტრები საუზმობდენ.

**ბერლინის სუფრაჟისტკების დემონსტრაცია**. ახლო მომავალში ბერლინის სუფრაჟისტები დიდებულ დემონსტრაციის მოხდენას აპირებიან ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოთ.

## ახალი ამბები

**პანაშვიდი**. კვირას, 30 აგვისტოს 12 საათზე მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ სხვა და სხვა საზოგადოებების წარმომადგენლები და გარეშე ხალხი. ამავე დღეს გადახდილ იქნა პანაშვიდი ს. წიწამურში, საგურამოს მახლობლათ, სადაც პოეტი მოკლეს; თფილისიდან წინა დღით წავიდენ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ორი წარმომადგენელი და სხვა პატივისმცემელნი. იქ დაუხვდენ ადგილობრივი გლეხები, ჭავჭავაძის სახელობაზე დაარსებული საგურამოს სკოლის მოსწავლენი და სხ.

✦ 29 აგვისტოს განჯიდან თფილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამის მოადგილე ახუნდ-მამედ კიშ-მამედ-ზადე. სადგურზე დაუხვდენ სპარსეთის და ოსმალეთის ელჩები, ადგილობრივი ენჯუმენის წევრები და მუსულმანთა გამოჩენილი პირი.

✦ **ხმოსნის დაპატიმრება**. პოლიციამ გუშინწინ ხელ მეორეთ დააპატიმრა თფილისის საბჭოს ხმოსანი რუდაკოვი. მას ბრალდება იარაღის შენახვა.

✦ **ბომბისტების დაჭერა**. როგორც პ. დეპ. სააგენტო იტყობინება, ბაქოში ერთ ერთ სასტუმროში დაუპატიმრებიათ ორი ქართველი: ჯღენტი და აბრამაშვილი, რომელთაც უპოვეს 6 სასროლათ გამზადებული ფიტილიანი ბომბა.

✦ **პეტარდა**. 28 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე მიხეილის და კრილოვის ქუჩების კუთხეში ვიღაცამ გადააგდო პეტარდა, რომელიც იქვე გასკდა. პოლიციამ გამოარკვია, რომ პეტარდა გაუსროლიათ სუმბათოვის სახლიდან ნევტონოვის და ზიკეევის კბილის საექიმო სკოლის ტეხნიკის თანაშემწეს მოსე ნესტერეეკოს, ხსენებული სკოლის „სტოროჟის" თედორე ბეჟანოვის შემწეობით.

✦ **კავკასიის ოლქის მზრუნველმა** მოიწონა ივ. გომელაურის მიერ შედგენილი წიგნი „ქართველი მწერლები", როგორც დაბალ და საშვალო სასწავლებლებში სახმარი სახელმძღვანელო.

✦ **სასამართლო**. 3 სექტემბერს თფილისის სამოსამართლო პალატის სესია ქუთაისში გაარჩევს არტემ კამკამაძის საქმეს, რომელსაც ბრალდება 1905 წ. ტყიბულში მდგომ 259 ქვეითა ტენგინის პოლკის ჯარის კაცთა რაზმზე თავდასხმაში მონაწილეობის მიღება. ამ თავდასხმას, როგორც ვიცით, მოჰყვა რამდენიმე ჯარის კაცთა მკვლელობა. ა. კამკამაძეს გაასამართლებენ სისხ. სამართლის დებ. 123 და 1459 მუხ. ძალით. მას დაიცავს ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი.

✦ **კუკიის სკოლა**. გუშინ, 31 აგვისტოს დასრულდა მისაღები ეგზამენები კუკიის პირველდაწყებითი სკოლაში. მთხოვნელი იყო 238, ხოლო თავისუფალი ადგილი ქართველებისთვის 40, სომხებისთვის თავისუფალი ადგილი იყო 40, მთხოვნელი 68. ამნაირათ, ქართველებიდან დარჩა გარეთ 198 ბავშვი, სომხებიდან—28. ამის გამო მასწავლებლებმა და მშობლებმა იქონიეს მსჯელობა და სასურველათ სცნეს მოწვეულ იქნას კერძო მასწავლებელი და გახსნან ხსენებულ სკოლასთან პარალელური განყოფილება, რომელშიაც მეცადინეობა იქნება. მშობლებმა სთხოვეს სკოლის გამგეს ქ-ნ ე. ასათიანისას იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ შემწეობა აღმოუჩინოს გამგეობამ. იქვს გარეშე, ქალაქის გამგეობა მიაქცევს ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას.

✦ **დეზერტირის დაჭერა**. 29 აგვისტოს ბარიათინის ქ. დააპატიმრეს ვიღაც უცნობი, რომელმაც თავის თავს იური ალექსანდრეს ძე რუბიცკი უწოდა. ის 22 აგვისტოს ჩამოსულა პეტერბურგიდან. ცოტა ხნის შემდეგ, მან განაცხადა, რომ ის ვლადიკავკაზის მოქალაქე გიორგი გ. მიხაილოვია და არა რუბიცკი და დღემდე სამსახურს ემალებოდა.

✦ **სამსახურის თავის დანებება**. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, როგორც „ბაქოს" გაუგია, თავს ანებებს სამსახურს.

✦ **ქალაქის შემოსავალი**. 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე ქალაქის კასაში შემოსულა შეფასებითი გადასახადებიდან 492,740 მან. და სატრაქტირო გადასახადებიდან 48,000 მან. წყლის მილიდან—148,058 მ.

✦ **შეპყრობა**. 30 აგვისტოს პოლიციამ შეიპყრო ის პირნი, რომლებმაც 8 აგვისტოს გაქურდეს რუსთაველის ქ. მცხოვრები ფოთის მოქალაქე ერმილე ხავთასი. ესენი აღმოჩნდენ: ოზურგეთის მაზრის მცხოვრები გიორგი კვაჭაძე, ქუთაისის მაზრის—ჯამბურია, სერაპიონ აფხაძე და ტროფიმე ტოლაბერიძე. დაპატიმრებულნი მსახურობდენ რკინის გზის სახელოსნოში. გაჩხრეკის დროს მათ ბინაზე იპოვეს ნაწილი მოპარულ ნივთებისა და გარდა ამისა, გიორგი კვაჭაძეს უპოვეს გასაღებები, ხერხი და სხ. ჯამბურია და კვაჭაძე გამოტყდენ დანაშაულობაში.

✦ **უბედური შემთხვევა**. 29 აგვისტოს დიდი მთავრის ქუჩაზე მცხოვრებ ქალთა მესამე გიმნაზიის მოსწავლეს ანნა პარასტაევას უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი. ტყვია მოხვდა მარცხენა ხელში და ძვალები დაუმტვრია. დაჭრილი პარასტაევა გეგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

✦ **ქართული წარმოდგენა**. 12 სექტემბერს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის „ღალატი". მონაწილეობას სხვათა შორის იღებენ უმაღლეს დრამატიულ კურსებზე მოსწავლე ქ-ნი ჩირგაძისა და პ. ი. ქავთარაძე. ეს უკანასკნელი გამოვა ოთარბეგის როლში.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება**. 29 აგვისტოს მე-4 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა 9 კაცი, რომელთაც არ აღმოაჩნდათ პასპორტები. 30 აგვისტოს დააპატიმრეს მე-8 საპ. ნაწილში 4 კაცი, მე-10 საპ. ნაწილში—5.

✦ **დაჯილდოვება**. კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების სამმართველომ 50 მან. დაასაჩუქრა „გოროდოვოი" მიხ. მიხნევიჩი ქურდების აღმოჩენისთვის, რომელთაც სისტემატიურათ გაჰქონდათ ხსენებულ საზოგადოების მაღაზიიდან ნივთები.

✦ კა—ა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ვინც მისგან იყიდა წარმოდგენის ბილეთები, თუ ეჭვი ეპარებათ რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ არ გადაეცემა, შეუძლიათ ბილეთის ფული უკანვე მიიღონ.

✦ დეპ. სევ. ჯუღელის და არჩ. ჯაფარიძის ოჯახობის სასარგებლოთ კ. ბუხრაშვილისაგან მივიღეთ 20 კ.

**შეცდომის გასწორება**. „მომავალი"-ს მე-3 №-ში, მოწინავე წერილში, მეოთხე სვეტზე სწერია: ზიზაციურათ, უნდა იყოს: ზიზანტიურათ. „მომავალი"-ს მე-4 №-ში, მოწინავე წერილში, მე-3 სვეტზე წერტილი და მძიმე დასმული სიტყვა დაკმაყოფილების შემდეგ. უნდა იყოს სიტყვა „არ არსებობენ"-ს შემდეგ. იმავე სვეტზე გამოტოვებულია სიტყვა გადანახადს, უნდა იყოს: გამოუყოფელ გლეხების მიერ გადანახადს. იმავე წერილში მე-4 სვეტზე სწერია: რაც ადმინისტრაციის თვითნებობა. უნდა იყოს: რომ ადმინისტრაციის თვითნებობა.

## პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი**. 6 სექტემბერს, კვირას, ოზურგეთში, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით მოწვეულია მთელი გურიის თავად-აზნაურთა კრება, რომელზედაც განიხილავენ საკითხს, ამა წლიდან ოზურგეთის რეალური გიმნაზიის გახსნის და ფულის გაწერის შესახებ.

— ქალაქის წიგნ-საცავ-სამკითხველოს წევრთა კრებამ 17 ამა აგვისტოს აირჩია ხელ-ახალი გამგეობა. გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: ქალაქის თავი ბებურიშვილი, მაზრის ექიმი დიმ. ერისთავი, ხმოსანი ნ. გვაშალი, სილ. თავართქილაძე და სტ. კალატოზოვი. სამკითხველოს პასუხისმგებელ გამგეთ კი, თანახმათ § 20 სამკითხველოს წესდებისა, ბ. ბებურიშვილი.

— 22 აგვისტოს, ს. გოგიეთში, ქორწილში, კოწია ცეცხლაძემ დანა დასჭრა თავის ძმის შვილს ილარიონ ცეცხლაძეს და იქვე მოჰკლა: როგორც გადმოგვცეს, მკვლელობა შემდეგ ნიადაგზე მომხდარა კოწია ცეცხლაძე უფროსი მეზობელ ჭანუყვაძისას ქორწილში, ზემოხსენებულ რიცხვს, როცა იქ ძალზე შეზარხოშებულან, საღამოს პირას ვიღაცასთან ჩხუბი მოსვლია და მოწინააღმდეგენი ერთი მეორესაკენ დაწყებულან, ამ დროს ვიღაცას დანით ჩაუქრია, სიბნელით უსარგებლია ცეცხლაძეს მოპირდაპირეს და გაქცეულა, ცეცხლაძე კი გაქანებული სიბნელეში და დანა ჩაუკრავს მისის აზრით, მის „მოპირდაპირესთვის", მაგრამ მოპირდაპირეს ნაცვლათ აღმოჩნდა მისი ძმის შვილი ილარიონ ცეცხლაძე, რომელიც თურმე ბიძის მისახმარებლათ მიდიოდა.

— რადგან ლატარეა-ალეგრის ნებართვის შესახებ ნამესტნიკის სანქცია უფროსი საჭირო, რომელიც ასე მოკლე დროში არ მოხერხდა, ამისთვის 23 აგვისტოსთვის დანიშნული სეირნობა ლატარეა-ალეგრით გადიდო მომავალ 6 სექტემბრისათვის.

— 21 აგვისტოს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან გამართა წარმოდგენა, ითამაშეს 2 მოქ. კომედია „დედა-კაცის ცნობის მოყვარეობა" და 1 მოქ. ვოდევილი „მოხვენება". თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ნ-კლს, რომელიც ემჩნეოდა ამ საღამოს ბ. ს. ხურციძეს (ივანიკას როლში) წარმოდგენა საერთოთ სათანადო ანსამბლით ჩატარდა.

— როგორც გადმოგვცეს, დ. მგელაძის საქმეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია გაარჩევს ოზურგეთში ამა სექტემბრის პირველ რიცხვებში. როგორც ვიცით მგელაძეს ბრალდება წარსულ წელში სად. ნატანებში ვიღაცა უმიზეზოთ მეურმე ტუღუშის დაჭრა.

— 26 აგვისტოს, ლიხაურის ტყეში მოჰკლეს თოიძე. თოიძე ხარებს აძებდა. მკვლელს, როგორც იქ ახლო მეოფნი ამბობენ, დაუძახია: ეს ერთი და შვილი კიდევ უნდა მოვკლათო. მკვლელები, როგორც ხმა დადის, თანასწორები ყოფილან და მას კავშირი აქვს. ამას წინათ ოზურგეთში მოკლულ დარაჯ თათრის სიკვდილთან. თათრები სისხლს იძებენო, არწმუნებიან. თან უმატებენ, რომ მკვლელობა პროვოკაციის შედეგიაო. თოიძე სოფლის პატიოსანი მუშა კაცი იყო.

**ფოთი**. კარგი ხანია, რაც აქ საზოგადოების ნაძირალთ, შანტაჟისტებს არ გაუჩენიათ და საზოგადოებაც დამშვიდებული იყო, მაგრამ ამ დღეებში ისევ უჩენიათ თავი შანტაჟისტების და შანტაჟისტურა წერილით მიუმართავთ ხშ. ტეპ. ვაჭარ [illegible] საბახტარაშვილისთვის, რომელსაც 500 მ. სთხოვდენ. თუ ის ამ ფულს არ მისცემდა, სიკვდილით ემუქრებოდენ. როგორც გავიგეთ, საბახტარიშვილის ორი წერილი მიუღია; ორივე ერთ და იმავე ჯგუფიდან (группа анархистовъ Коммуна) ერთი რუსულად დაწერილი და მეორე კი ქართულად. წერილებში, თურმე, სხვათა შორის ნათქვამია: „არ გეგონოთ ჩვენ ისეთები ვიყოთ, როგორც ზოგიერთი ქუჩის ბიჭები" და სხვ. თუ მართლა „ქუჩის-ბიჭები" და არა ნაძირალები ვინ მიმართავს სხვა ამნაირ საშუალებას საჭიროა, რომ საზოგადოებამ ფხიზლად მოკიდოს ხელი ამ საქმეს და ეცადოს, „ქუჩის ბიჭების" ალაგმვას.

—

22 აგვისტოს ზღვის პირათ პოლიციამ აღმოაჩინა უცნობ ოსმალოს გვამი. ის დამხრჩვალი ეგონათ; გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ის უნდა იყოს რომელიმე სანდალზე მომუშავე, რომელიც მომკვდარა ფილტვების ავათმყოფობით და მის ამხანაგებს გადაუგდიათ ზღვაში, რომ თავი დაეღწიათ პოლიციის შეკითხვა-გამოკითხვისათვის.

— 30 აგვისტოს, კვირას ქალაქის ბაღში გაიმართება ლატარეა-ალეგრა, გადრძელება იმ ლატარეა-ალეგრესი, რომელიც შეწყვეტილ იქნა წვიმის გამო 26 მაისს.

— სერხის ქარხნის მუშებში ძალიან გაშინდა ნარდ-კარტის თამაში. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მოწინავე წინ არ უდგებიან ასეთ მოვლენას. ეს გრემთება ნათლად მოწმობს იმას, რომ ხსენებულ მუშებს თითქმის სულ დავიწყებიათ ყველაფერი და რეაქციის მეძლიერთ დაუბედნია მათში.

—

**ჭიათურა**. აქ ამ დღეებში დაიჭირეს მარკოზ პატეიშვილი. როგორც გამოირკვა პატეიშვილის დაჭერა ასე მომხდარა: მარკოზ პატეიშვილს ცხენების გადაწონვის დროს მოუპარავს ცხენზე—სამი ფუთი შავი ქვა, რასაც დაუჭერავს კანტროლს, და ახლა განკარგულების ძალით იმავ დღესვე გაასამართლეს ადგილობრივ სამსჯავროში. დამნაშავე გამოტყდა თავის დანაშაულში შეკითხვის დროს. მიუხედავათ ამისა, მაინც გამართლებული იქმნა. ამ გარემოებამ დიდათ გაახარა ის დანარჩენი ქურდ-ბაცაცა მწონელები, რომლებსაც ამ დღეებში გაასამართლებენ. ისინი დაიმედებული არიან, რომ როგორც დამნაშავეს გაამართლებენ.

### ბიბლიოგრაფია

**„ხმით წესით კითხვის სწავლება" ან. შუბლაძისა, ქუთაისი, 1909 წ. 35 გვ. in 16.**

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ბ-ნი შუბლაძის ბროშიურის გამოსვლა, რომელიც შეიცავს, როგორც ავტორი ამბობს, მის გამოცდილებას სკოლის პრაქტიკიდან.

წინასიტყვაობაში ავტორი სამართლიანათ უჩივა ჩვენში სახალხო სკოლების მასწავლებლების „დიდი უმეტესობის" მოუმზადებლობას, უენერგიობას, უზნეობას და სისწორით აღნიშნავს აქედან წამომდგარ დიდ ვნებას.

მართლაც, გული უნდა მოუკვდეს ადამიანს, როცა ის გაითვალისწინებს, თუ როგორ ტანჯვენ და აწვალებენ ბავშვებს საზოგადოთ მთელ რუსეთში და კერძოთ ჩვენშიაც მოუმზადებელი და ყოვლათ უვიცი მასწავლებლები, რომელთა რიცხვი, სამწუხაროთ, მცირე არაა. ასეთი საზოგადო მოვლენის მიზეზს, რა თქმა უნდა, მარტო მასწავლებელთა პიროვნებაში და მათ პირად ნაკლ-ღირსებაში არ აქვს ადგილი. არა, ის უფრო სერიოზულია და აწინდელი სოციალურ-პოლიტიკური პირობების სიღრმეშია ჩამარხული. ამ სულის შემხუთავ პირობათა ძირიან ფესვიანათ შეცვლასთან ერთათ სკოლაც შეიცვლება, განახლდება, მანამდის კი ის ჩვეულებრივათ „შეპაჩინკების" მოჯადოებულ წრეში იტრიალებს წალმა-უკუღმა.

ავტორს მოუთავსებია თავის ბროშიურაში კითხვის სასწავლი სანიმუშო გაკვეთილები ხმით წესით შემდეგ რიგზე:

I. კითხვისათვის მოსამზადებელი წინასწარი ვარჯიშობა, რომელშიაც შედის: ა) საგანი და სიტყვა, ბ) წინადადება, გ) წინადადების სიტყვებათ დანაწილება, დ) სიტყვების მარცვლებათ დანაწილება და ე) მარცვლების ხმებათ და-

ნაწილება II) ასოები (ანბანი). ამ განყოფილებაში მოთავსებულია სანიმუშო გაკვეთილები კერძო ასოების შესასწავლათ მოძრავი ასოების საშვალებით და კითხვის პროცესი ჯერ მხოლოდ მოძრავი ასოების შემწეობით, ხოლო შემდეგ წიგნის „დედა-ენის“ საშვალებითაც.

ყველა სანიმუშო მასალა საზოგადოთ ჩინებულათაა დამუშავებული მეთოდიკის თანამედროვე სახელმძღვანელოთა თანახმათ. გზა-და-გზა გაკვეთილებს საჭირო განმარტებანიც აქვს გაკეთებული სხოლიოებში.

მარა ბ-ნი შუბლაძის ბროშიურას, როგორც პირველ ცდას, აქა-იქ, ჩვენი აზრით, შევსება-შესწორებაც ესაჭიროება, რომ მეორე გამოცემის დროს ავტორმა ამით იხელმძღვანელოს. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ყველა დეტალებს არ გამოვუდგებით და მხოლოდ ზოგიერთებს აღვნიშნავთ მოკლეთ.

ბროშიურის უმთავრესი დანიშნულებაა, როგორც ავტორი ამბობს, დახმარება გაუწიოს მოუმზადებელ მასწავლებლებს, რომ მათ შეძლონ სახმო წესით სისწორით სარგებლობა კითხვის სწავლების დროს. მოუმზადებელებმა, ცხადია, წერის სწავლებაც არ იციან რიგიანათ გენეტიური წესით. ამიტომ საჭირო იყო, ჩვენი აზრით, ავტორს წერის სწავლების სანიმუშო გაკვეთილებიც მოეთავსებია თავის ბროშიურაში. წერა-კითხვის სწავლება ხომ განუყოფელია, ერთ და იმავე დროს წარმოებს და ამასთან წერის წესების დარღვევასაც ხომ დიდი ვნება და ზიანი მოაქვს ბავშების ფიზიკური აღზრდის საქმეში და პრაქტიკული მხრითაც?

წინასწარ ვარჯიშობის დროს ავტორი აცნობს ბავშებს, როგორც მიღებულია, მახლობელ საგნებს, მარა ის კმაყოფილდება მარტო საგნის დასახელებით. კარგი იქნება, მოკლეთ და მარტივათ საგნის დანიშნულებაც რომ აუხსნას მასწავლებელმა. მაგალითათ, ჩვენი ავტორი აჩვენებს კარს და ეკითხება მოსწავლეს: ეს რა არის? მოსწ. ეს არის კარი. მასწავლ. უნდა კითხოს: რა დანიშნულება აქვს კარს, რა საჭიროა ის? მოსწ. კარში შევდივართ, გავდივართ და სხვა.

ავტორი წინადადების ახსნის დროს, სხვათა შორის, მიაჩერდება ერთ შეგირდს —ვანოს და სხვებს ეკითხება, თუ რას ფიქრობს ის, მასწავლებელი, ვანოზე. მერე თვითონვე გადასცემს მათ ამ ფიქრს ასე: „ვანო კარგი ბავშია“. ასეთ მაგალითს შეუძლია სხვა ბავშებში რამე შური აღძრას და მასწავლებელიც გვერდს უნდა უვლიდეს სიფრთხილის გულისათვის. ისიც ხომ შეიძლება, რომ მეორე მასწავლებელმა ამ მაგალითის მიმბაძველობით თავისი შეადგინოს, მაგალითათ: ვანო ქურდია, ნიკო ზარმაცია და სხვა, რასაც სკოლაში ადგილი არ უნდა ქონდეს პედაგოგიური მოსაზრებით.

იქ, სადაც ავტორი სიტყვებს ანალიზს უკეთებს და მარცვლებათ ყოფს, შემდეგ მარცვლებს ხმებათ, ჩვენი აზრით, საჭირო იყო ისიც გადაეცა მოსწავლეებისათვის, რომ არის ხმოვანი და თანხმოვანი ხმები, რომ მარცვალში უსათუოთ უნდა იყოს ერთი ხმოვანი ასო და სხვა. უამისოთ სიტყვების მარცვლებათ დანაწილებას ბავშები მხოლოდ მექანიკურათ შეითვისებენ და თავისი მოქმედების უტყუარი საზომი კი ხელთ არ ექნებათ. ამისი ახსნა თავის ადგილას სიძნელეს არ წარმოადგენს არც მასწავლებლისა და არც მოსწავლეთათვის.

ერთ ადგილას ავტორი ამბობს, რომ მასწავლებელი „იწყებს ასოების სწავლებას კეთილ-ხმოვანების მიხედვით“-ო. ასოების შესწავლის დროს მარტო მათ კეთილხმოვანებას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმათი მოხაზულობის და ელემენტების სიადვილესაც წერისათვის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან წერა-კითხვა, როგორც ვიცით, განუყოფელია.

კითხვის პროცესის დროს ავტორი გრძლათ და გაბმით აკითხვებს ბავშებს, როგორც თითოეულ ასოს, ისე მთელ სიტყვებსაც. ასეთი კითხვა გამოწვეულია იმ სიძნელის დასაძლევათ, რაც სახმო წესს თან ახლავს. საქმე ისაა, რომ ბავშებს უჭირთ ასოების სინტეზი, ერთიმეორეზე გადაბმა და ამ სიძნელეს ცოტათი შველის ხმის გაგრძელება და შეუჩერებლივ მეორეზე გადასვლა. ამ სიძნელის შესამსუბუქებლათ საჭიროა სიტყვის ხმებათ დაყოფის დროს მასწავლებელმა იხმაროს ყოველივე ხერხი, რომ თითოეული ხმა ისე გამოათქმევინოს ბავშს, როგორც ეს სინამდვილეში ისმის. მაგალითად, ხმა „ს“-ს მოსწავლეები აგრძელებენ და გამოდის ს...უ...უ...უ... ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა აჩვენოს გამოთქმის მაგალითი და ისიც უნდა ახსნას, რომ „ს“ უნდა გამოითქვას მხოლოდ ენის წვერით და არა ტუჩების წინ გაწევით. პირველ შემთხვევაში გამოითქმის ს...ს... ს..., ხოლო მეორეში კი ს...უ.. უ...უ... რადგან ბროშიურა დანიშნულია მოუმზადებელი მასწავლებლებისათვის, საჭირო იყო ავტორს ამ სიძნელისთვისაც მიექცია ყურადღება და თავის წიგნაკში მოეთავსებია სანიმუშო მასალა.

ხმის გაგრძელება-გაბმის საშვალებით კითხვის სწავლების დროს მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ის სიძნელის გასანელებლათ იძულებული ხდება შეცდომა დააშვებიოს მოსწავლეს, გრძლათ, გალობით წააკითხოს წინადადება, რასაც ცხოვრებაში ადგილი არ აქვს. ეს კარგათ ესმის ჩვენს ავტორსაც, მარა ის ამბობს, რომ „სრულიად ნორმალური კითხვა თანდათანობით თავისთავათ გამომუშავდება“-ო. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ ნაკლულევანების გასანელებლათ და შესამცირებლათ მასწავლებელი თავიდანვე უნდა ხმარობდეს შესაფერ საშვალებებს, მაგალითათ, წაკითხულის გამეორების დროს მოკლეთ გამოთქმის მიჩვევას და სხვ. მასწავლებელს არ უნდა ავიწყდებოდეს ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ **ჯერ შეცდომის დაშვება და შემდეგ მისი გასწორება უბრალოთ დროს დაკარგვაა და მასთან ძლიერ ძნელიცაა.**

ბროშურა კარგი ენითაა დაწერილი, თუმცა ორიოდე ასეთი გამოთქმაც შეგხვდებათ შიგ: „შესაფერისი“, „ჭაპანწყვეტა გადაგვხდია“, „ჰქვიან“ და სხ.

საზოგადოთ, ბროშიურა დიდათ საჭირო და სასარგებლოა ყველა მასწავლებლებისათვის, მარა კიდევ უფრო განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც შესაფერი მომზადება აკლია. ჩვენი აზრით, უფრო სუსტები ის მასწავლებლები არიან, რომელთაც ორი-სამი თვის ზერელე მომზადებით აქვთ მასწავლებლობის მოწმობა მიღებული. ამ უკანასკნელთ ბ-ნი ან. შუბლაძის ბროშურა დაუფასებელ სამსახურს გაუწევს.

ფასი. 10 კაპ., ყველასათვის ხელმისაწდომია.

**ქალარა.**

## გ უ რ ი ი ს ც ი თ ა რ ე ბ ა.

(შემდეგი)

როგორც იცით, ადმინისტრაცია ცდილობს ექვსი წლის (1904—1909 წლები) დრამა ფულის მოგროვებას. ამის შესახებ ხალხი ყველა საზოგადოებაში რწმუნებულებს ირჩევს, რომ ეს საქმე გაასაჩივროს სადაც ჯერ არს. იმდენათ უვიცი გამოდგენ ზოგიერთი მამასახლისები, რომ კანონიერათ ამორჩეულ რწმუნებულებს მოწმობას არ აძლევენ. ასე მოიქცენ ნანეიშვილის, ამაღლების და სხვა მამასახლისები. დიახ, თურმე გვყავს ისეთი მამასახლისები, რომლებიც ხალხს თხოვნის ნებასაც არ აძლევენ. და ასეთი მამასახლისები სწორეთ იქ არიან, საიდანაც მეტ იმედებს იძლეოდენ. ასეთ ნაბიჯს არა ხასურველი შედეგი მოყვა. ზოგან: ამაღლებაში, აკეთში და სხვაგან, მღვდლებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ამისათვის აკეთში დააპატიმრეს მამასახლისი, მწერალი და 13 კაცი, ამაღლებაშიც დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, მარა რადგანაც დროზე საქმეში შეგნებული პირები ჩაერია და ბოიკოტი ჩაიშალა, დაჭერილები გამოუშვეს.

რაც შეეხება ფულების ფლანგვას, სკოლებზე ყურადღებას არ მიქცევას და სხვა ამგვარებს, ამას ხომ ეპიდემიური ხასიათი აქვს.

ამ ოთხი წლის (1906—1909) განმავლობაში იმდენი უსამართლო ფაქტები მოხდა, რომ ჟრუანტელი დაგივლის ტანში, მთელი გურიის მართვა-გამგეობა, მისი ბედ-იღბალი მხოლოდ რამდენიმე კაცის ხელში იყო. მართალია, ყველა ისინი დღეს პასუხის გებაში არიან მიცემული, მარა ეს ხომ მცხოვრებლების ტყავს არ გაამრთელებს? საზოგადოებებს, რომ ხეირიანი მამასახლისები ყოლოდათ, ან და 3—4 საზოგადოებას ერთი საერთო ვექილი ყოლოდა დაქირავებული, მაშინ იმის მეათედი უბედურებაც არ მოხდებოდა, რაც მოხდა. ავიღოთ ერმოლოევის და მიქიევის მაგალითები: პირველმა ასკანის საზოგადოებას ძალით გამოართვა ათასი მანეთი, ვითომდა გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით და თითონ ჩაიჯიბა. ახლა საზოგადოებას ამის შესახებ რწმუნებულიც კი ყავს ამორჩეული, მარა რას გადაახდევინებ ერმოლოევს, ის სამსახურიდან გაგდებულია და სულს კბილით ატარებს. მიქიევმა ხალხს 40,000 ნეთი გადასახადი—მიწის ბაჟი გადაახდევინა და მიითვისა. ახლა ხალხს ხელმეორეთ ახდევინებენ; თურმე ნუ იტყვით, ხალხმა თუ თავის ნებით არ გადაიხადა და ფული მოგროვდა ეგზეკუციის საშუალებით, მაგრამ ფულის ამკრეფმა იკადრა მისი გაფლანგვა-შეჭამა, ამაში ხაზინა პასუხს არ აგებს.

შარშან, როდესაც ქუთაისის გუბერნატორმა გურია ჩამოიარა, მას მიმართეს ლანჩხუთლებმა, მან უპასუხა: „თქვენ ყოველივე საბუთები წარუდგინეთ მაზრის უფროს (ბ. გუბერნატორმა მაზრის უფროსი ზაკუსოვი წინ წამოუყენა ხალხს და გააცნო). თუ დამტკიცდა, რომ ასეთი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა მიქიაშვილმა, მაშინ მას პასუხის გებაში მივცემთო“.

მას შემდეგ გავიდა წლები, დამტკიცდა, მარა ხალხს მაინც სთხოვენ ფულს. ახლა ვიკითხოთ ვინ არის მართალი? ჩვენ ვიცით, როდესაც პრისტავი ფულს აგროვებს, ის ამის შესახებ ნებას თხოულობს მაზრის უფროსისაგან და გუბერნატორიდან; ეგზეკუცია ხომ გუბერნატორის ნებადაურთველათ არ შეიძლება? მაშ, მიქიევის დანაშაულობაში სხვებსაც ქონია ჰოჰი!

ერთი მხრით სოფლის მოხელეების უვიცობამ, მეორე მხრით იმგვარი ელემენტების მოქმედებამ, რომლებიც მათთვის გაუგებარ ანარხიზმში ხედავენ შველას, შეუწყვეს ხელი გურიაში მთავრობის მამასახლისის და დარაჯების ჩამოყენებას.

პირველათ ბასილეთს „ჩამოუსიძეს“ ეს დალოცვილები. შემდეგ, როდესაც ადმინისტრაცია დარწმუნდა იმაში, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა, ასევე გაუმასპინძლდა: ასკანას, შემოქმედს, მიქელ-გაბრიელს, ჩოჩხათს, ლანჩხუთს, ხვარბეთს და სურებს. თითო საზოგადოებას მათი შენახვა უჯდება თვეში 150 მან., წელიწადში 1800 მან. რვა საზოგადოებას 14,400 მან.

მერე როდის ხდება ეს? მაშინ, როდესაც ხალხი შიმშილისაგან სულს ვერ ითქვამს. გვალვის გამო მთლათ გადახმა ბოსტნები, ყანებიც მისუსურებულია. გაისათ აუცილებლათ შიმშილობა იქნება. ხშირათ შეხვდებით რომ, მთელი ოჯახობა მარტო ჭადს მიირთმევს; ზოგიერთი ბედნიერი კი მარილზე ან ტყემალზე უწებს ჭადს. ბალახიც თლათ მოიწვა და პირუტყვები შიმშილისაგან იხოცებიან. მერე ხედავს ამას ადგილობრივი ადმინისტრაცია? რომც ხედავდეს, განა ის მიაქცევს ამას ყურადღებას?

**კრ.—ძე.**

(შემდეგი იქნება)

## კორესპონდენცია

—

**ნიგოითი.** (გურია). 4 ივლისს ნიგოითის საზოგადოებას ჩამოგვიყენეს მთავრობის მამასახლისი 4 სტრაჟნიკით. მამასახლისი და ორი სტრაჟნიკი საზოგადოების ხარჯით. ხოლო 2 სტრაჟნიკი ადგილობრივ ვაჭრების. მამასახლის სტრაჟნიკების მოსვლას თან მოყვა განუსჯელათ მათრახის წარა-მარა ცემა, „ნაობახი“ და სხვა. სულიერმა მამებმაც ხელათ აისრულეს სურვილი: ორი დღის განმავლობაში მოაკრებიეს თავიანთი “სანეტარო დრამა“. 19 ივლისს, შუაღამისას ჩვენი სოფლის ეკლესიებზე არა ჩვეულებრივი ზარის რეკის ხმა მოისმა, ამას მოყვა სოფლის მოხელეთა ყვირილი, მძინარე ხალხი ლოგინიდან არეკეს და ყველას სასამართლოსკენ ერეკებოდნენ, რა ამბავი იყო არვინ ვიცოდით, ყველა შიშის ზარმა აგვიტანა შეკრებილი ხალხი ადგილობრივ სამმართველოდან ამავე ღამეს ს. შუხუთში (ლანჩხუთის საზოგადოებაა) გაგვრეკეს. თუ ვინმე „ურჩობას“ გაბედავდა მათრახს იგემებდა. შუხუთში რომ მივედით იქ დაგვხდა, შეკრებილი აცანის და ლანჩხუთის საზოგადოების ხალხი. აქ გავიგეთ შემდეგი: აცანა-ლანჩხუთის გზებზე ვიღაც ჩავლადრებს დახვედრიათ გზაში ავაზაკები, წაურთმევიათ 8 მანეთი. აქ გამოცხადდა დროებით ბოქაული კუხალეიშვილი სტრაჟნიკებით. შეკრებილი ხალხი ბოქაულმა ცალ-ცალკე დაჰყო, პირველათ აცანას მოსთხოვა ავაზაკები რისთვისაც მისცა კომისიის არჩევის ნება. ლანჩხუთსაც ასე მოექცა. ბოლოს გამოგვყვეს ნიგოითი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ 19 ივლისს, როდესაც დაცემა მოხდა ნიგოითის დუქნებზე სადილი ეჭამა აცანის საზოგადოების მცხოვრებს გაქცეულ სალდათს ჩხაიძეს სამი ამხანაგით, ეჭვი ამაზე აიღეს, ამიტომ ბოქაულმა დაჟინებით მოგვთხოვა ეს ავაზაკები: საზოგადოებამ გამოძიებისთვის დრო სთხოვა, ბოლოს, როგორც იქნა, ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა. ამ დროს ურიადნიკმა კალანდიამ ნიგოითის საზოგადოებას გამოყო ს. ქვიანი, ყველა ქურდ-ავაზაკებათ მოგვნათლა. ბევრი ლანძღვაგინების შემდეგ დაგვპირდა: „ქვიანლებს მეორე მთავრობის მამასახლისს სტრაჟებით დაგინიშნავთო“, ასეთი დაპირების შემდეგ მოგვცა ნება გავრეოდით სხვებს.

უკვე 9—10 საათზე მოატანა. ძლიერი სიცხე იყო, რადგან კომისები საქმის ძიებაში იყვენ, მოვინდომეთ სულის შემხუთველ სიცხის გამო ჩრდილოებში თავი შეგვეფარებია, ეს რა შენიშნა ფხიზელმა ურიადნიკმა ნება არ მოგვცა, მოვარდა და გვიბრძანა ადგილიდან არ დაძრულიყავით. „სანამ ავაზაკებს არ მოგვცემთ ადგილიდან არ დაიძრათო“ და ირგვლივ სტრაჟები შემოგვარტყა. ბოქაულმაც ამ სიტყვებს კვერი დაუკრა. მოთმინებიდან გამოსულმა ი. ნ—ლმა სიტყვა შეუბრუნა ბოქაულს: „ვინცხა ავაზაკებმა შანტაჟისტობა ჩაიდინეს და ჩვენ ამდენი ხალხი რა დანაშაული ვართ, რომ მშიერმწყურვალს ამ მზეში გვტანჯავო“. ეს სიტყვები იუკადრისა ბოქაულმა და ნი—ლი დაატუსაღა, მარა ისევ მალე გაანთავისუფლა. რადგან ეჭვი დეზერტირ ჩხაიძეზე მიიტანეს, რომელსაც პოლიციაც დაეძებდა, ყველას აცანაში წასვლა გამოგვიცხადეს. აცანაში მისვლისთანავე ნიგოითს და ლანჩხუთს დაგვავალეს: მოგვეთხოვა აცანლებისათვის ავაზაკები. ამ დავალებამ გასჭრა: შეიქნა აქა-იქ ლაპარაკი: „მოიყვანოს აცანლებმა ყველა ახალგაზდები (როგორც ჩავლადრები ამბობდენ დამცემნი ახალგაზდები ყოფილან) და ჩალვადარი იცნობს თავის დამცემსო“. ამაზე აცანის მამასახლისმა უპასუხა: „ჩვენს საზოგადოებაში მცხოვრებნი ყველა აქ არიან, ხოლო ვინც არ არიან, ზოგი სამუშაოზეა წასული და ყველას მოყვანა დღეს შეუძლებელიაო“. არჩეულმა კომისიებმა ცალცალკე მუშაობა უხერხულად დაინახეს, ამიტომ შეერთდენ. უკვე საღამომ მოატანა, ხალხმა დეპუტაცია მიუგზავნია დრ. ბოქაულს გაგვიშვით სახლში იმ პირობით, რომ მეორე დილით ადრე ისევ მოვიდოდენ. მან ეს თხოვნა არ შეიწყნარა. გამოგვიცხადა შემდეგი: ნიგოითი და ლანჩხუთი ეგზეკუციათ ხართ აცანაში, რადგან აქ არიან ავაზაკები. მოითხოვეთ რაც გინდათ საჭმელი და აცანას იძულებულს ვყოფთ დაგაკმაყოფილოსო, რადგან მე ახლა ლანჩხუთში მივდივარ, აქ ვტოვებ ნიგოითის მთავრობის მამასახლისს და სტრაჟნიკებს სანამ ჩხაიძეს არ მომცემთ, აქედან ფეხს არ მოგაცვლევინებთო“. აცანლებს უბრძანა: კარგი ვახშამი გაემზადებია მამასახლისს-სტრაჟნიკისთვის და აგრეთვე ნიგოით-ლანჩხუთლებისთვის და წავიდა ლანჩხუთში. მეორე დღეს 9 საათზე ისევ მოსვლა შეგვპირდა.

შუადღებისას შეერთებულმა კომისიამ აღმოაჩინა ორი დამნაშავე ანდღულაძენი ძიმითის საზოგადოების მცხოვრებნი და დაატუსაღეს. ღამე მინდვრათ გავათენეთ. უკვე ცხრა საათი შეიქნა. ბოქაული არ სჩანს. ამ დროს კომისიებმა მესამე დამნაშავეც აღმოაჩინეს იმავე საზოგადოების ანდღულაძე. ყველა ავაზაკები ლანჩხუთს გაგზავნეს. ნაშუადღევის ორ საათზე მოვიდა ურიადნიკი და გამოგვიცხადა შემდეგი: ყველა სოფლელებმა აირჩიეთ კომისია ხუთ-ხუთი კაცი, რომლებმაც უნდა მონახონ დეზერტირი ჩხაიძე და დანარჩენმა ლანჩხუთლებმა და ნიგოითლებმა წადით სახლშიო. ამნაირათ, ორი დღე და ღამის წვალების შემდეგ ნება მოგვცეს წავსულიყავით სახლში. ბევრი ავათ გახდა, ზოგი მათგანი ურმით წამოსაყვანი შეიქნა.

**ქ—ნელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს წიგნები სოფლებში გასავრცელებლად. აი შემომწირველთა სია: იაკობ გოგებაშვილმა 20 „დედა-ენა“, მარიამ ალექსანდრეს ასულმა კეზელისამ 20 რვეული და 12 კარანდაში. პოდკოვნიკ გ. თარხნიშვილმა 30 რვეული, პარ. ჯავრომა 25 კარანდაში. კნ. მაკრინე ჯანდიერმა 18 სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნი, კნ. მ. მ. თარხნიშვილისამ 15 წიგნი და ლავრენტი გოგიბერიძემ 10 წიგნი. იმედია სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს.

**ან. კაპანაძისა.**

—

ოზურგეთის სამაზრო სასკოლო კომისია გულითად მადლობას უცხადებს სამტრედიის სცენის მოყვარეთ; ბ.ბ. ეფიმი არეშიძოვსკის და გ. ურუშაძის ხელმძღვანელობით ოზურგეთის რეალური სასწავლებლის სასარგებლოთ და სამტრედიაში წარმოდგენის გამართვისათვის.

იმედია, სამტრედიის სცენის მოყვარეთა სიმპატიურ მაგალითს სხვა დაბა და ქალაქებიც მიბაძავენ და მით ხელს შეუწყობენ ოზურგეთის რეალური სასწავლებლის მტკიცე საფუძველზე დამყარებას.

კომისია აგრეთვე უღრმეს მადლობას უცხადებს ბ. სოლომონ ა. ჭეიშვილს, რომელმაც შესწირა ოზურგეთის რეალურ სასწავლებელს ფულათ ასი მანეთი, ხოლო დატერა-ალეგრისთვის, რომელიც იმართება ქალაქ ოზურგეთში ხსენებული სასწავლებლის სასარგებლოთ, ერთი თუმანი.

ოზურგეთის სამაზრო, სასკოლო კომისიის თავმჯდომარე

**მღვ. მელიტონ ქავჯარაძე.**

## ე. ნინოშვილის ფონდი

—

„მომავლის“ რედაქციამ მიიღო ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ შეგროვილი ფოთის რკ. გზ. სადგურის მოსამსახურეთა შორის ნოე სადუქაძე და რომანოზ სოსელიასაგან, 21 მ. 15 კაპ. შემომწირველთა სია: თითო მანეთი: ნოე სადუქაძე, ალ. ხოფერია, Борисъ Когановъ, დ. ქავთარაძე, ს. სახარულიძე. აბაზ-აბაზი შაური: რ. სოსელია, დესპინე სოსელიასამ, ალ. ზაქრაძე, ტასია ზაქრაძისა, ილ. თედორაძე, ესტ. თოფურია, გ. ჯიბლაძე, გ. ბასილაია, პ. ხომერია, ივანე საყვარელიძე, ს. ლოლაძე გ. სახარულიძე, ხად. ხურციძე დ. ლაგოძე, ერმ. ნამჩევიშვილი, ისიდორე ბალანჩივაძე, ივ. გერკელიძე კოსტა კიკურაძე, გ. ბრეგვაძე, ნ. აჩჯევანიძე, ილ. გუგუნავა. გ. ციფშაძე 40კ. ექვს ექვსი შაური: ს. გოგიშვილი, დ. ძოლაია, ვ. გრიგოლია, მახ. სალაყაია, გ. ნოდია. ხუთ ხუთი შაური: არ. ჩაგანავა, ს. თედორაძე, მ. ცომაია. თითო აბაზი: რ. ჩაჩავა, გ. ადეიშვილი, ივლ. მუქერია, პ. კალანდაძე, რ. კალანდაძე, ლ. ასათიანი, შ. ჩიტაიშვილი, ე. პოჭორიშვილი, თ. ცომაია, ტ. პოხუა, ლ. ნარსია, თ. ფაჩულია, მარკ. ჯოლაღანია, ლ. მატკავა, ნ. თავბერიძე, ალ. ჩაჩიბაია, გ. სირაძე. 10 კ. სულ შედგა 21 მ. 45 კ. ფოსტის ხარჯი 30 კ. დარჩა 21 მან. 15 კ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.**

## განცხადება

### გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ და საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო სასწ.**, **სასულიერო**, **საფერშლო**, **ტეხნიკის**, **რეალურ**, **საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის**, **სამასწავლებლო სემინარიისთვის**. ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხზე**.

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან. მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც**.

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში**, **იყვანს მოსწავლე ქალებს**.

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—1)